

თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებას, პრეზიდენტი ბუში კი სავაჭრო მოლაპარაკებებში მის წარმომადგენელს სუზან შვებს სპეციალურად ავალებს „ყველაფერი გააკეთოს საქართველოში ინვესტიციების ზრდისა და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისათვის, ასევე ქართული პროდუქტის ამერიკის ბაზარზე ხელსაყრელი პირობებით შესვლისთვის“.

ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბაზრის შეცვლა სრულიად ახალ მოთხოვნებს უყენებს ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც ძირითადად რუსეთის ბაზარზე იყო ორიენტირებული. ევროპისა და აშშ-ის ბაზრების

გახსნა საქართველოსთვის რეალურად ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგანაც იქ შესატანი პროდუქცია საქართველოს ფაქტობრივად არ აქვს.

ახალი ბაზრების გახსნა ქართული ეკონომიკის მოდერნიზაციის აუცილებლობას აყენებს. მსოფლიო ბაზრებზე დასამკვიდრებლად საჭირო იქნება მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გატანა. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ ამ საქმეს უნდა ემსახურებოდეს.

**დავით მალხაზიშვილი**

# გამოიწვევს თუ არა ფინანსური დახმარებები ისედაც მაღალი ინფლაციის უემდგომი ზრდას?

რუსული აბრემისის შემდგომს  
საერთაშორისო საზოგადოებას  
გაანეიტრალებს

რუსეთის შეიარაღებული აგრესიის შედეგად გადამწვარ-დანგრეული ქალაქებისა და სოფლების თუ ინფრასტრუქტურის აღდგენაში ქართველ ხალხს თანადგომა მრავალმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოუცხადა. დაახლოებით ორი წლის განმავლობაში საქართველო უზარმაზარ (საერთო მოცულობით, ალბათ, 4 მილიარდ დოლარამდე) დახმარებას მიიღებს. როგორ აისახება ამხელა დახმარება ინფლაციასა და, ზოგადად, ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ განვიხილოთ, რა ტიპის დახმარებები შემოდის ქვეყანაში.

პირველი, ეს არის 750 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოყო. მეორე მიმართულება დახმარებისა არის დახმარება ნატურით, იმ საქონლით, რომელიც უშუალოდ ლტოლვილებს დასჭირდათ და ალბათ, სულ მალე შეწყდება. შემდეგი მიმართულებაა ფინანსური დახმარება, რომელსაც გვიწევენ ცალკეული სახელმწიფოები, ეს ფული ბიუჯეტში შედის. მაგალითად, უკრაინამ უკვე გადმორიცხა 10 მლნ დოლარი და ალბათ, კიდევ გადმორიცხავს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის ერთმილიარდიანი დახმარება. თითოეული ქვეყანა რასაც გვაძლევს, ეს გრანტია, კრედიტი არ არის.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის დავით ამალლობელის ინფორმაციით, აშშ-ის მთავრობის ერთმილიარდიანი დახმარების მიღება დაიწყება წელსვე, ოქტომბრის თვიდან და გაგრძელდება მომავალ წელს. წლეულს 430 მლნ დოლარის შემოსვლაა დაგეგმილი, გაისად კი დანარჩენი

570 მლნ დოლარი შემოვა. აქედან ნაწილი იქნება პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება, ხოლო გარკვეული ნაწილი – ჰუმანიტარული ან სხვა ფორმის დახმარება. წლეულს, ალბათ, უდიდესი ნაწილი იქნება საბიუჯეტო დახმარება ფულის სახით.

წინასწარი მონაცემებით, 500 მლნ ევროს გამოგვიყოფს ევროკომისია; რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძოდ, მსოფლიო ბანკსა და აზიის განვითარების ბანკს, მათი მხრიდან კონკრეტული რიცხვები ჯერ არ სახელდება, მაგრამ მნიშვნელოვანი ზრდა იქაც იქნება როგორც არსებული პროგრამების, ასევე ახალი პროგრამის ფარგლებში; გარდა ამისა, ეროვნული ბანკი მუშაობს იმ მიმართულებით, რომ ბანკებს გაუადვილოს ახალი რესურსების მოძიება, ძირითადად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და უკვე ოქტომბრიდან დაწყებული, მომავალი წლის ბოლომდე ვარაუდობს მილიარდ დოლარზე მეტი ასეთი რესურსის შემოსვლას.

## საკალუტო ფონდი ისევ დაბკჭირდა

რა თქმა უნდა, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა თუ გაერთიანებების, ცალკეული ქვეყნების მთავრობების მიმართ, რომლებიც სესხებსა და გრანტებს გვაძლევენ, მაგრამ, მეორე მხრივ, საზოგადოებაში გაიგონებთ გულისტკივილით ნათქვამს: სულ ხელგაწვდილები როდემდე უნდა ვიყოთო! პროფესორ ლადო პაპავას აზრით, ომი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ამ ნათქვამს გარკვეული ობიექტური ლოგიკა ექნებოდა. მაგრამ ომი მომხდარი ფაქტია. ამიტომ თუ მივიჩნევთ, რომ ყველაზე სწორია ჩვენი პატრიოტობის გამოხატვა იმით, რომ რაღაც დახმარებაზე უარი ვთქვათ, ეს სავსებით ჯდება ჩვენი მთავრობის ხედვაში, იქნება ეს ნოლიდელის ეპოქა, ჟვანიას ეპოქა თუ დღეს გურგენიძის ეპოქა. რატომ?

იმიტომ, რომ ყველა ამ მთავრობაში იყო კახა ბენდუქიძე, რომელმაც მოსვლისთანავე განაცხადა, სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი არ გვჭირდება, საქართველო არ უნდა იყოს ხელგაწვდილი და არ უნდა ეხვეწებოდეს არც სავალუტო ფონდს და არც მსოფლიო ბანკს, მათი ფული ჩვენ არ გვჭირდება. 2007 წლის სექტემბერში საქართველოში მორიგი პროგრამა რომ დასრულდა და სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას ახალი პროგრამის სხვადასხვა ვარიანტი შესთავაზა, საქართველოს მთავრობამ დიდი სიამაყითა და მედიდურობით თქვა უარი. ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან თანამშრომლობაზე სწორედ ეს უარი წარმოადგენდა ერთ-ერთ საფუძველს იმ შეცდომებისა, რაც შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში იყო დაშვებული. ასე რომ, ეს ჩვენ უკვე გავიარეთ. ომის შემდგომ არა ვართ იმ ფუფუნების წინაშე, რომ ვარჩიოთ, გვჭირდება თუ არ გვჭირდება. როცა გეხმარებიან, ეს დახმარება უნდა მიიღო და მიზნობრივად, ეფექტიანად გამოიყენო, - დაასკვნის ლადო პაპავა.

ქართველ ექსპერტთა ნაწილის აზრით, შარშან საქართველოსთან სავალუტო ფონდის პროგრამის განუახლებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მთავრობას არ სურდა სავალუტო ფონდს ჩაეხედა საბიუჯეტო ხარჯვაში, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. თუმცა, მთავრობის მიერ კომენტირებული ეს ასე იყო, რომ ჩვენ უკვე დამოუკიდებლად შეგვიძლია საკუთარი ფინანსების მართვა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ სესხის მოცემა, რომელიც, ალბათ, შეღავათიანი და მრავალწლიანი იქნება, პროგრამის აღდგენას საჭიროებდა. ამ პროგრამის ამუშავება ნიშნავს იმას, რომ განახლდება სავალუტო ფონდის მისიების ჩამოსვლა და სავალუტო ფონდი უკვე გააკონტროლებს როგორც ბიუჯეტს, ასევე ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც მთლიანობაში არის კარგი, იმიტომ, რომ სანამ სავალუტო ფონდი საქართველოში იყო, მთავრობა იძულებული იყო მისთვის ანგარიში გაეწია. თუმცა, იმასაც შევნიშნავთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სავალუტო ფონდი ბევრ რამეს პატიობდა მთავრობას და ამის მაგალითია თუნდაც ეროვნული ბანკისადმი შეტევები. სავალუტო ფონდი ყოველთვის კი იყო ეროვნული ბანკის მხარეზე და ამბობდა, ეროვნული ბანკი სწორ პოლიტიკას ატარებსო, მაგრამ მან თავის პროგრამაში მკაცრად არ ჩადო იგივე „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის დაცვა, რომელიც შემდეგ დაწესდა და დააკნინეს. არადა, პოლონეთში ზედამხედველობა ეროვნულ ბანკს რომ გამოეყო (იქაც პოლიტიკური მოსაზრებით მოხდა), სავალუტო ფონდმა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ძალიან სერიოზულად გაილაშქრა და იმ პერიოდში პოლონეთსა და სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობაში დიდი პრობლემები წარმოიშვა.

ვინ იყო ახალი პროგრამის დაწყების ინიციატორი, ქართული მხარე თუ სავალუტო ფონდი? ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის დავით

ამაღლობელის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდს მიმართა თხოვნით, რომ განეხილა შესაძლებლობა, საქართველოსთვის ახალი პროგრამის ფარგლებში 750 მლნ დოლარის ოდენობის „სტენდ-ბაი“ სესხის გამოყოფის შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა ქვეყნის ოფიციალური რეზერვების შესავსებად. აღნიშნული მოცულობის სესხი 3-ჯერ აღემატება საქართველოს კვოტას სავალუტო ფონდში და ჩვენმა მთავრობამ ამდენი იმიტომ მოითხოვა, რომ ეს ყოფილიყო უძლიერესი სიგნალი საინვესტიციო საზოგადოებისათვის.

პროფესორ პაპავას აზრით, ამჯერად პროგრამის დაწყების ინიციატივა ვის ეკუთვნოდა, სავალუტო ფონდს თუ ჩვენ, ამას ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, როცა არის ფორს-მაჟორული სიტუაცია (ასეთი სიტუაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დროდადრო წარმოიქმნება ხოლმე), სავალუტო ფონდს შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამები და მხოლოდ უნდა მივესალმოთ იმას, რომ რეაგირება გაკეთდა დროული. პირველი სიტყვა მაინც სავალუტო ფონდს უნდა ეთქვა. სავალუტო ფონდის პროგრამა ნიშნავს, რომ ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა გარანტირებული იქნება და თუ მაკროეკონომიკური სტაბილურობა იქნება გარანტირებული, ეს უკვე დადებითი შეტყობინებაა ყველასათვის, მათ შორის ინვესტორებისთვის.

**სავალუტო ფონდის დახმარების სიდიდე მროვნული ბანკის წინაშე არსებულ პრობლემების მასშტაბს ნიშნავს**

პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ ამაყად გვამცნო, რომ საქართველოსათვის გამოყოფილი 750 მილიონი აშშ დოლარის სესხი არის სავალუტო ფონდში საქართველოს კვოტის 300%. ეს მართლაც ძალიან დიდი თანხაა და საქართველოს სავალუტო ფონდისგან ამდენი ერთბაშად არასდროს მიუღია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სხვადასხვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბები მაშინ, როცა სავალუტო ფონდისგან ფულს ვღებულობდით და ახლა. ჯერ ერთი, რომ ვამბობთ, 750 მლნ დოლარი ბევრიაო, რასთან შედარებით არის ბევრი? ვთქვათ, მშპ-თან შედარებით არც თუ ისე ბევრი გამოდის, რადგან ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი დღეს დაახლოებით, 10 მილიარდი დოლარია და მაშინ, როცა ფონდი ფულს გვაძლევდა, 3-4 მილიარდი იყო. არც თუ ისე ბევრი გამოდის ჩვენს საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან შედარებითაც და განსაკუთრებით, დოლარის მსყიდველობითი უნარიდან გამომდინარე.

და კიდევ, „უპრეცედენტობის“ „გაპიარება“ ხდება დადებითი ნიშნით, აი, რამდენ ფულს გვაძლევენო! მაგრამ ამდენ ფულს იმიტომ გვაძლევენ, რომ ბევრი პრობლემა შეგვექმნა. ეს დახმარება მიდის მთლიანად ეროვნულ ბანკში, ანუ ქვეყანას ეწურება რეზერვები. რეზერვების

ამოწურვა დაიწყო ძირითადად შარშანდელი ნომბრის მოვლენებიდან, როდესაც ქვეყანამ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში რეზერვების 200 მლნ დოლარი დაკარგა. სხვათა შორის, ექსპერტთა ინფორმაციით, დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენი ეროვნული ბანკის რეზერვები არის ყველაზე მცირე, უფრო მცირე, ვიდრე სომხეთის, ან მოლდავეთის და ყირგიზეთისა კი, მაშინ როდესაც ჩვენ მათ ვუსწრებდით.

ეროვნული ბანკის რეზერვები ამოწურვა სწორედ ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკისა და ინვესტიციების შემცირების გამო დაიწყო. რა თქმა უნდა, ომის პერიოდში მოხდა რეზერვების სერიოზული კლება, მაგრამ ძირითადად რეზერვების კლება გამოწვეული იყო ნომბრის მოვლენებით, რამაც ინვესტიციები ფაქტობრივად შეაჩერა. მოგეხსენებათ, თუ ეროვნულ ბანკს რეზერვები არა აქვს, მაშინ მას არ შეუძლია მოემსახუროს იგივე საგარეო ვაჭრობას; საგადაძღვლო ბალანსის დეფიციტი ძალიან იზრდება. დღეს იმპორტი მატულობს, ინვესტიციები კლებულობს და ეროვნული ბანკის რეზერვები იწურება; ამიტომ 750 მლნ აშშ დოლარის დახმარების სიდიდე ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე არსებული პრობლემების მასშტაბს და ეს არ არის სატრაბახო. ეროვნული ბანკის რეზერვების ამოწურვის ერთ-ერთი მიზეზი კი იყო სწორედ ახალი კანონის მიღება, რომლითაც ეროვნული ბანკი აიძულეს, რომ დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში ინფლაციისათვის მარტო მას მიეხედა და ლარის კურსი ხელოვნურად გაემყარებინა.

ღადო პაპავა პრემიერის ამ ნათქვამზე კომენტარს არ აკეთებს, რადგან, მისი აზრით, ხშირად ჩვენი პოლიტიკოსები „პიარის“ მიზნით ბევრ რამეს აბუქებენ, ალამაზებენ. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ სავალუტო ფონდს ასეთი მექანიზმი აქვს. როგორც წესი, სავალუტო ფონდი თავის წესებსა და პროცედურებს არ არღვევს, ვინაიდან ეს არის საერთაშორისო დონის ბიუროკრატიული სამსახური. ამდენად, რაც სავალუტო ფონდმა გააკეთა, ეს სრულად ჯდება სავალუტო ფონდის მექანიზმებში. სავალუტო ფონდმა სავსებით სწორი და დროული გადაწყვეტილება მიიღო, ანუ პირველი სიტყვა მას უნდა ეთქვა.

**რა გავლენას იქონიებს შემოსული დახმარება ინფლაციაზე და ზოგადად მაკროეკონომიკაზე**

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ბუნებრივია, როდესაც ხარჯები იზრდება (ხარჯების ზრდა ნამდვილად არის) და მისი დაფინანსება უცხოური წყაროებიდან ხდება, ეს ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს. დეფიციტის დაფინანსების წყარო არის უცხოური ვალუტა. ცხადია, ეს ინფლაციაზე გავლენას მოახდენს. მაგრამ მეორე მხრივ, დღეს ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსის გამყარებაზე ძალიან დიდი რაოდენობით განარჯა თავისი რეზერვები. მოგეხსენებათ, ეროვნულ ბანკს უნდოდა

ლარი ამოელო კომერციული ბანკებიდან და ეგონა კომერციულ ბანკებს სადებოზიტო სერტიფიკატების განაკვეთების გაზრდით წახალისებდა, რომ მისთვის ესესხებინათ ფული. თუმცა, კომერციულმა ბანკებმა ამით ისარგებლეს და თავიანთ კლიენტებს მაღალი პროცენტი დაუწესეს.

დღეს ეროვნული ბანკი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. ამ ომის შემდეგ ბანკებს ლიკვიდობის ისეთი პრობლემა შეექმნათ, რომ მათთვის 150 მლნ ლარის მისაწოდებლად სპეციალური ინსტრუმენტი შეიმუშავა და საჭიროების შემთხვევაში დამატებით კიდევ 200 მლნ-ის გამოყოფის აპირებს. ვინაიდან ლიკვიდობის ამოღების პროცესმა ვერ გაამართლა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო უცხოური ვალუტის გაყიდვა და ლარების ამოღება უკვე ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. ამით მან მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი რეზერვები და ლარის მასა შემცირდა. ახლა ქვეყანაში არის კურიოზული ვითარება: ფულის მასა შემცირდა (რაც არის ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი), მაგრამ ფულის მასა შემცირდა ეროვნული ბანკის რეზერვების შემცირებისა და ლარის ხელოვნურად გამყარების ხარჯზე და შემცირებული ფულის მასის პირობებში იზრდება ინფლაცია. ეს არის ყველაზე ცუდი. როცა ინფლაცია იზრდება ფულის მასის ზრდის შემთხვევაში, ესეც ცუდია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდასაც; თუ წინათ ინფლაცია არსებობდა ეკონომიკის ზრდასთან ერთად, ახლა გვაქვს ინფლაცია ეკონომიკის დაცემასთან ერთად, ვინაიდან ფულის მასა შეიზღუდა და ფულის მასის შეზღუდვა ნიშნავს ეკონომიკური აქტივობის შემცირებას. ასე რომ, იმდენად დიდი რაოდენობით შემცირდა ახლა რეზერვები, რომ ინექცია, რომელიც უცხოეთიდან შემოდის, შესაძლოა ინფლაციის მთავარი წყარო არ გახდეს; თეორიულად, ეს არის ინფლაციის წყარო, თუმცა დამოკიდებულია იმაზე, თუ ერთბაშად რა რაოდენობით იქნება გასული ეს თანხები. მეორეს მხრივ, თანხები, რაც უცხოურ ვალუტაში შემოდის, რა თქმა უნდა, ჩვენს ეროვნულ ბანკს ცოტათი შეეშველება, რომ თავისი რეზერვები აღიდგინოს.

სავალუტო ფონდის დახმარება პირდაპირ მიდის ეროვნული ბანკის ანგარიშზე და მას უშუალო გავლენა რაიმე ხარჯებთან არა აქვს. რაც შეეხება სხვა დახმარებებს, მათი მიღება დროშია გაწეილი, რადგან საკმაოდ ბიუროკრატიული პროცედურების გავლას საჭიროებს, ეკონომიკაში ნელ-ნელა შემოვა და ეკონომიკურ ზრდაზე არ ექნება რაიმე არსებითი ზემოქმედება. მაგრამ ბუნებრივია, ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნის პირობებში ერთგვარი შვების მომტანი იქნება. ეს ფული ხელს შეუწყობს იგივე საბანკო სისტემის გამოცოცხლებას, ანუ სტაგნაციას თავიდან აგვაცილებს, მაგრამ ეკონომიკური დახმარებისაგან სწრაფი ეკონომიკური ეფექტის მოლოდინი ილუზიაა.

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში თამაზ აქუბარდია მიიჩნევს, რომ ცხადია, ასეთი უზარმაზარი დახმარებები

ინფლაციურ პროცესებსაც გამოიწვევს, მაგრამ ჩვენ უნდა შევადაროთ ერთმანეთს უარესი და კიდევ უფრო უარესი. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ეს დახმარებები არ იყოს. აი, მაშინ უნდა გენახათ თქვენ ინფლაცია! ჩვენ რომ მარტო დავრჩენილიყავით ამ ეკონომიკურ სიძნელეებთან, რაც ქვეყანაში წამოიჭრა, ინფლაცია სამნიშნა და ოთხნიშნა რიცხვით იქნებოდა გამოხატული. ამიტომ იმის თქმა, რომ დახმარება გამოიწვევს ინფლაციას და ჩვენ ამის გამო უარი უნდა ვთქვათ ამაზე, ეს აბსოლუტური ნონსენსია.

მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად გონივრულად წარმართავს ქვეყანა ამ პროცესებს, რომ ეს არ იყოს ძალიან ხელშესახები და ძალიან არ იმოქმედოს მომხმარებლების ჯიბეებზე. აქუბარდიას ინფლაციურ პროცესებთან დაკავშირებით, იმედის მომცემად, პირველ რიგში, მიაჩნია ის, რომ ენერგომატარებლებზე ფასები საზღვარგარეთ კატასტროფულად დაეცა. იგივე ბენზინზე ჩვენთანაც ასე რომ არ დაეცა ფასი, ამის მიხედვით მონოპოლიზაცია, რაც ქვეყანაში პრაქტიკულად ყველა სფეროში შეიმჩნევა. ექსპერტის თქმით, ენერგომატარებლებზე წვრილი იმპორტიორები რომ გვეყოლოდა (მათ მცირე რაოდენობით შემოაქვთ ხოლმე პროდუქცია), ძვირად შემოტანილ ძველ პარტიას უცებ გაყიდდნენ და გაცილებით იაფ ახალ პარტიას შემოიტანდნენ. მაგრამ რაკი მსხვილ იმპორტიორებს დიდი მარაგები აქვთ ნაყიდი, სანამ იმ მარაგებს არ გაყიდონ, ჩვენ გაზრდილი ფასებით უნდა ვუხადოთ. ასეთი მომენტები დამატებით ინფლაციურ ეფექტებს იწვევს და ხელისუფლებამ ამას უნდა მიხედოს; მაგრამ ხელისუფლება ამას ვერ მიხედავს, ვინაიდან ძალიან ბევრ მაღალჩინოსანს ამ (და არა მხოლოდ ამ) ბიზნესში თვითონ აქვს ინტერესები; ჩვენთან ბიზნესი სახელისუფლო ვერტიკალთან ზუსტად ისეა ჩანლართული, როგორც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, იგივე რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ეკონომიკა ახლა მოლოდინის მდგომარეობაშია. თუ ბიზნესმა დაინახა, რომ უკეთესი ხვალინდელი დღის პერსპექტივა გამოჩნდა, მაშინ მომენტალურად დაიწყება ბიზნეს-აქტივობის გაუმჯობესება, ცხადია, იმ პირობით, თუ რეალურად იქნება დაცული კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა ლიტონი სიტყვები არ აღმოჩნდება; მაშინ ბიზნესი საკუთარ ძალებს ირწმუნებს, დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა და ამ დახმარების ფონზე ინფლაციური პროცესები, ალბათ, მაინც იქნება, მაგრამ ისეთი დამანგრეველი არა. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ბიზნესი ხედავს, რომ მართვადი ინფლაციაა, მაგრამ არის პროგნოზირებადი, მაშინ ბიზნესს ყოველთვის შეუძლია თავისი ბიზნესაქტივობის დროს ეს ინფლაციური მარჟა დათვალოს. მაგრამ აქუბარდიას არ სჯერა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამას შეძლებს; თუ, როგორც პარლამენტსგარე ოპოზიცია ითხოვს, საქართველოში ჩატარდება ხელახალი და მართლაც ობიექტური არჩევნები, რომლის შედეგადაც

ხელისუფლებაში პროფესიონალები მოვლენ, მაშინ შეიძლება ისე მართვა, რომ მინიმალური დანაკარგებით მოხდეს ინფლაციური პროცესების უარყოფითი ეფექტის ნეიტრალიზება.

ოფიციალური მონაცემებით, სექტემბრის ბოლოს ინფლაცია 12,8% დაფიქსირდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში ინფლაციის 8%-იანი წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი არის ჩადებული. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლაშა თორდიას თქმით, ყველა ის დახმარება, რომელიც შემოვა ქვეყანაში და გაეწევა დაზარალებულებს, ეტაპობრივად იქნება გაწერილი, რათა ნაკლებად მოხდეს ინფლაციაზე ზემოქმედება. ამიტომ ინფლაციის მაჩვენებელი ძალიან არ გაიზრდება. ხელისუფლება შეეცდება წლის ბოლოსთვის შეინარჩუნოს ის საპროგნოზო მაჩვენებელი, რაც ახლა ბიუჯეტითაა განსაზღვრული. შეიძლება იყოს ცოტა მეტიც, მაგრამ ინფლაციის დონე რაღაც კრიზისულ ნიშნულამდე არ მივა.

აქუბარდიას აზრით კი დღეს სტატიისტიკის დეპარტამენტი იმას დაწერს, რასაც ეტყვიან და ქალაქი ყველაფერს აიტანს. მაგრამ შეუძლებელია, რომ ინფლაცია 8% იყოს. სულ ცოტა, 20-25% მაინც იქნება.

როგორც დავით ამალაბელი განმარტავს, ქვეყანაში ახალი ფულის შემოსვლა იმიტომ გახდა საჭირო, რომ ფულადი აგრეგატების ზრდის ტემპი შემცირდა, გამოძინარე ავვისტოს მოვლენებიდან. ფულის შემოსვლა შემცირდა და ამიტომ მისი ჩანაცვლება ხდება. შესაბამისად, ამ ფულის შემოსვლას დადებითი ეფექტი ექნება, ვინაიდან ეკონომიკურ ზრდას წახალისებს. ეს ფული ინფლაციაზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუმცა, მაინც ფრთხილი პროგნოზი უნდა გავაკეთოთ, რადგან ჩვენთვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი სხვა ფაქტორები, მაგალითად, თუ როგორი იქნება მომხმარებლების და ასევე მწარმოებლების რეაქცია არსებულ სიტუაციაზე. შეიძლება მწარმოებლებს საწარმოო ხარჯები გაეზარდოთ, ზოგიერთ მოწოდებელს გაეზარდოს დაზღვევის ხარჯები. თუ ასეთი ხარჯების ზრდა მოხდა, შეიძლება ამან ინფლაციაზე უარყოფითად იმოქმედოს; ანუ რომელი ფაქტორები გადასწონის, ეს ჯერ კიდევ უნდა დავინახოთ და ალბათ, კიდევ 2 თვე დაგვჭირდება იმისთვის, რომ შევფასოთ.

ლადო პაპავას მტკიცებით, მაკროეკონომიკურ მდგომარეობასა და ინფლაციაზე უარყოფითად კიდევაც რომ აისახებოდეს, ეს მაინც არ არის იმის არგუმენტი, რომ ჩვენ ამ დახმარებაზე უარი ვთქვათ, ვინაიდან აღსადგენია ქალაქები და სოფლები, აღსადგენია ინფრასტრუქტურა და დიდი ზარალი მიაღვა ჩვენს ეკონომიკას.

გარდა ამისა, ინფლაციური პროცესები საქართველოში, ომამდეც ჩამოყალიბებული იყო და მთავრობა ინფლაციის ციფრებს „ალამაზებდა“, ხელოვნურად ამცირებდა, თუმცა ექსპერტების აზრით, უკვე კარგა ხანია, საქართველოში ინფლაცია ორნიშნა რიცხვით გამოიხატება. რა თქმა

უნდა, ომმა ინფლაციური პროცესების გაღრმავებას გარკვეულწილად ხელი შეუწყოს, რაც ობიექტურიც არის, რადგან საომარი მოქმედებების დროს, როგორც წესი, იზრდება ინფლაციური მოლოდინი, იზრდება რისკი, იზრდება დამატებითი მოთხოვნა პროდუქტებზე (განსაკუთრებით, კვების მშრალ პროდუქტებზე) და აქედან გამომდინარე, ეს ინფლაციაზე უარყოფითად აისახება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საომარი მოქმედებები საქართველოში დიდხანს არ გრძელდებოდა და ჩვენი კერძო სექტორი საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა, კერძო სექტორს ხანგრძლივი, ძლიერი შოკი არ ჰქონია, ამიტომ ინფლაციას რაღაც კატასტროფული პრობლემა არ შეუქმნია.

რაც შეეხება იმ დახმარებას, რომელიც შემოვა, ჯერ ერთი, კაცმა არ იცის, რამდენი შემოვა. ჯერჯერობით, ვიცით მხოლოდ ორი ძირითადი მაჩვენებელი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პირველმა განაცხადა, რომ იქნება 18-თვიანი სპეციალური პროგრამა, რომელიც განისაზღვრება 750 მლნ დოლარით და რომლიდანაც 350 მლნ დოლარს უკვე წელს გადმორიცხავს საქართველოში. ეს, ალბათ, იქნება ძალიან შეღავათიანი და გრძელვადიანი სესხი. ამ ფულის რეციპიენტი (მიმღები) არის მხოლოდ ეროვნული ბანკი. ამდენად, ეს ფული უშუალოდ ქვეყნის ეკონომიკაში არ დაიხარჯება. ეს არის ფული, რომელიც გამოყენებული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის. ეს ფული გამოყენებული იქნება გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებისა და ჩვენი საბანკო სისტემის მდგრადობისათვის.

მეორე პარამეტრი არის ამერიკული დახმარება 1 მილიარდი დოლარის ოდენობით. ხოლო რაც შეეხება ევროკავშირს თუ სხვა დონორ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს, მათ ძალიან ზოგადი განცხადებები გააკეთეს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს დაეხმარებიან, მაგრამ რამდენი იქნება ეს თანხა, ჯერჯერობით, უცნობია. ალბათ, ევროკავშირი და მსოფლიო ბანკიც დაგვეხმარებიან. ისინიც მუშაობენ პროექტზე, მაგრამ ისინი მოგვცემენ ასევე ძალიან დაბალპროცენტულ და ხანგრძლივვადიან სესხს. ასე რომ, ჩვენ მივიღებთ როგორც ძალიან შეღავათიან კრედიტებს, ასევე გრანტებსაც. აქედან გამომდინარე, ამაზე უარი როგორ უნდა ვთქვათ?!

ზოგადად, ზარალიც არ არის ბოლომდე დათვლილი. მის ოდენობაზე სხვადასხვა განცხადება გაკეთდა. პრემიერ-მინისტრმა თავიდან თქვა, ზარალი მილიარდნახევარ დოლარზე მეტიაო და მერე დაახუსტა, მთლიანი ზარალი სამიდან ოთხ მილიარდამდე არისო. გარემოს დაცვის მინისტრმა თქვა, ბორჯომის ხეობას ერთ მილიარდ ლარზე მეტი ზარალი მიადგა, თუმცა საქართველოში ამის სპეციალისტები არა გვყავს და ზუსტად არ ვიცით, რა ზარალიაო. ზარალი, პირველ რიგში, მთავრობამ უნდა დათვალოს. ეს მისი ფუნქციაა.

რა თქმა უნდა, ქვეყანაში დიდი ოდენობით თანხების შემოსვლას ინფლაციური ეფექტი აქვს, რადგან როდესაც

უცხოური ვალუტა დიდი ოდენობით შემოდის, ამ ვალუტის კონვერტირება ხდება, ქვეყნის ეკონომიკაში ის ლარში იხარჯება და კონვერტირების პირობებში დამატებითი ლარი გადის მიმოქცევაში. მაგრამ აქამდე ჩვენთან შემოდოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როდესაც უცხოელები მოდიოდნენ და ობიექტებს ყიდულობდნენ, შემოდოდა ეს ისევე დოლარებში. ამ ეტაპზე ეს ინვესტიციები ომის გამო არის შემცირებული, ზოგი საერთოდ შეწყვეტილიც, რაღაც დროით გადავადებული. ასე რომ, წმინდა ფულადი ნაკადის თვალსაზრისით, ამ ინვესტიციების ნაცვლად შემოვა უცხოური დახმარება, ანუ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით არაფერი იცვლება. ერთ წყაროს მეორე ჩანაცვლებს, ხოლო რაოდენობრივად ეს მეტი იქნება თუ ნაკლები, ამაზე საუბარი შეუძლებელია, იმიტომ, რომ ჯერ თვითონ ეს დახმარებები მთლიანობაში არ არის განსაზღვრული. მაგრამ რომც იყოს მეტი და ამან ინფლაციურ პროცესებს შეუწყოს ხელი, იმის გამო, რომ ინფლაცია მაღალი იქნება, ჩვენი ეკონომიკის რეაბილიტაციაზე, გაუბედურებული ხალხისთვის დახმარებაზე, სოფლებისა და შენობა-ნაგებობების აღდგენაზე უარი ნამდვილად არ უნდა ვთქვათ.

იმავედროულად მთავრობამ სერიოზულად უნდა გადახედოს თავის ბიუჯეტს, ის მართლაც პროფიციტული გახადოს იმ თვალსაზრისით, რომ ინფლაცია არ გაექცეს და ეროვნულმა ბანკმა უნდა ამოქმედოს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები, რომლის უფლებაც კანონით აქვს; მას ახლა რეზერვებში პრობლემა დიდად რომ არ შეექმნას, ამიტომ ღებულობს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან დამატებით 750 მილიონიან სესხს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამდენად, ამ დახმარებით გამოწვეულ რაღაც გრანდიოზულ ინფლაციურ პროცესებს პაპავა არ მოელის და შენიშნავს, რომ ინფლაციის პრობლემა იქნება არა დახმარება, არამედ ინფლაციის პრობლემა არის ის, რაც იყო ომამდე: ჩვენი მთავრობის ქმედება, რომელიც პრაქტიკულად ხელს უწყობდა ინფლაციის ზრდას და მეორე მხრივ, „ალამაზებდა“ ციფრებს, რომ ეჩვენებინა, ვითომ ყველაფერი კარგადაა და ინფლაცია მაღალი არ არის.

პაპავა იმასაც შენიშნავს, რომ დახმარების მიზანი არის, უწინარეს ყოვლისა, იმის აღდგენა, რაც დაინგრა. ცხადია, იგივე, გადამწვარი ტყის სწრაფად აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ დანგრეული გზების, ხიდებისა თუ სახლების აღდგენა დროში აღქმადი პროცესია. საბოლოო ჯამში, ხიდიც და გზაც ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, თუმცა ეს ფული არ არის უშუალოდ მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისა თუ რომელიღაც კონკრეტული ობიექტისთვის. ჩვენ გვეხმარება და გრანდიოზულ თანხას გვაძლევს თითქმის მთელი მსოფლიო იმიტომ, რომ საქართველომ ომით მიყენებული ზიანი რამენაირად დაძლიოს. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ცხინვალის რეგიონის შიდა სოფლებიდან და კოდორის ხეობიდან გვყავს ლტოლვილები, რომელთა დაბრუნებაც

უახლოეს ხანებში იქნება ძალიან რთული, თუ შეუძლებელი არა. ამიტომ უკვე დაიწყო შედარებით თავისუფალი მიწების გამოყოფა, სადაც სპეციალურად მათთვის მთელი საცხოვრებელი კომპლექსები აშენდება. ამისთვის გვეხმარებიან და ამას უშუალოდ მრეწველობასთან კავშირი არა აქვს. მაგრამ თუ ადამიანი ნორმალურად იცხოვრებს, ეს ნიშნავს, რომ იგი რაღაც პროდუქციის მომხმარებელი გახდება და საბოლოო ჯამში, ეკონომიკას შეუწყობს ხელს. მაგრამ დღეს ჩვენ ვდგავართ ჰუმანიტარულ-ეკონომიკური კატასტროფის წინაშე და ეს რომ ავიცილოთ, ამიტომ გვეხმარებიან და არა იმისთვის, რომ რომელიმე დარგი განვითარდეს.

საქართველოს შესწევს რეაბილიტაციის უნარი გარე დახმარების გარეშე? რა თქმა უნდა, ქვეყანას გარკვეული უნარი აქვს, იმიტომ, რომ თვითონ ბიუჯეტის პარამეტრებიც რეალურად მზარდია, მაგრამ გარე დახმარების გარეშე ამას ბევრად უფრო დიდი დრო დასჭირდება, ამ რეაბილიტაციაზე გაცილებით მეტი ძალისხმევა წავა და ეკონომიკის ძალიან ბევრი სფერო ყურადღების მიღმა დარჩება. ამიტომ თუ დღეს მსოფლიო გვეხმარება, ყველას მადლობა უნდა ვუთხრათ და ეს უნიკალური შესაძლებლობა გამოვიყენოთ, - აცხადებს ლადო პაპავა.

ექსპერტ დემურ გიორხელიძის შეფასებით, რომ არა ის დახმარება, რომელიც საქართველომ უნდა მიიღოს, ჩვენი ფინანსური სისტემა და ეკონომიკა აღმოჩნდებოდა აბსოლუტური კოლაფსის წინაშე. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Standart & Poor's-მა საქართველოს მხოლოდ ამ დახმარების ხარჯზე შეუცვალა რეიტინგი უარყოფითიდან სტაბილურზე.

**რამდენად მიზნობრივად და ეფექტურად ღაცხარჯება დახმარების თანხები?**

რამდენად გარანტირებულია, რომ ამ თანხებს ნამდვილად მიზნობრივად და ეფექტიანად გამოვიყენებთ? ლადო პაპავა შეგვახსენებს, რომ სავალუტო ფონდის ფული ეროვნულ ბანკში მიდის, მისი გამოყენება

გამჭვირვალეა და აქ პრობლემა არ არის. რაც შეეხება სხვა თანხებს, ეს დახმარება წავა უშუალოდ შენობებისა და ინფრასტრუქტურის ასაშენებლად, სადაც ხარჯვა სამწუხაროდ არ არის საკმაოდ გამჭვირვალე. ალბათ, თვითონ უცხოელებიც საკმაოდ აქტიურად მიიღებენ მინაწილებას ამ თანხების ხარჯვის კოორდინაციასა და მონიტორინგში, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.

პაპავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია ანტიკრიზისული საბჭოს შექმნა, რომელსაც, პრეზიდენტის თქმით, დიდი უფლებები ექნება. გაუგებარია იმიტომ, რომ მთავრობის გადასაწყვეტია, როგორ დახარჯოს და გამოიყენოს ის დახმარება, რაც ახლა ქვეყანამ უნდა მიიღოს. აბა, რისთვისაა გვეყავს მთავრობა, თუ ქმნი რაღაც ანტიკრიზისულ საბჭოს, რომელიც ამას ცალკე გააკეთებს?! გამოდის, რომ საქართველოში ორი მთავრობა გვეყოლება?! თუ საკუთარ მთავრობას არ ენდობი, ვისაც არ ენდობი, შეცვალე! მაგრამ ეს არის მთავრობის გასაკეთებელი. ასევე საკმაოდ ინფორმაციული იყო ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლაც იმის თაობაზე, რომ 18 თვის განმავლობაში უშუალოდ იგი უხელმძღვანელებს რეაბილიტაციის პროცესს. ეს გასაკეთებელია და უნდა გაკეთდეს, მაგრამ რა შუაშია შინაგან საქმეთა სამინისტრო?! ეს დაახლოებით იმას ჰგავს, სულ ახლო წარსულში რთველი რომ ჩაბარდა თავდაცვის სამინისტროს, ანდა ანტიმონოპოლიური რეგულირება რომ ჩაბარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ვანო მერაბიშვილის ნათქვამს, თუ რა უნდა გაკეთდეს, პაპავა აბსოლუტურად იზიარებს და მიაჩნია, რომ მინისტრის გამოსვლაში ძალიან კომპეტენტური ფორმულირებები იყო, მაგრამ ამას უნდა აცხადებდეს პრემიერ-მინისტრი. ხოლო თუ ქვეყნის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ ფუნქციას ყველაზე კარგად სწორედ ვანო მერაბიშვილი შეასრულებს, მაშინ ლადო გურგენიძის ნაცვლად პრემიერ-მინისტრად სწორედ ის უნდა დანიშნოს. ამით ლოგიკურობა მაინც იქნება მიღწეული.

**ღალი ჩიკვაძე**

**ექსპორტში ლიდერი ფეროშენადნობებია**

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში პირველს ფეროშენადნობები იკავებს. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტში განაცხადეს, ფეროშენადნობების წილზე 2008 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტის 18,5 პროცენტი მოდის და 199,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

შავილითონების ჯართის ექსპორტი 110,9 მლნ აშშ დოლარია, რაც ექსპორტის 10,3 პროცენტია. მესამე ადგილზე მყოფი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი გაზრდილია 27,1 მლნ აშშ დოლარით და 95,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი, იანვარ-აგვისტოში, ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის წილი 13,0 პროცენტია და 539,9 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

მეორე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის იმპორტი 399,8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც იმპორტის 9,6 პროცენტია. შემცირებულია ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების ჯგუფის იმპორტი და 127,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 68,0 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.